

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

3

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

4

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

7

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

8

ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

11 - 21

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (შემდგომში „ორგანიზაცია“) ხელმძღვანელობა.


ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:



ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



დოდო გოჭაძე

ფინანსური მენეჯერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
დელისის I შესახვევი 5ა
თბილისი, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი-ს (შემდგომში "ორგანიზაცია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტორული საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

ივნისი 19, 2020


თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	შენიშვნები	31-Dec-19	31-Dec-18
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	915,131	316,751
გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები		3,152	18,889
მისაღები გრანტები	4	2,801,010	4,818,672
საგადასახადო აქტივები	5	57,174	79,258
ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები	6	282,434	176,126
სულ მიმდინარე აქტივები		4,058,901	5,409,696
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	242,472	394,911
სულ გრძელვადიანი აქტივები		242,472	394,911
სულ აქტივები		4,301,373	5,804,607
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	-	108,950
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		4,162	4,034
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	9	3,885,462	5,369,109
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,889,624	5,482,093
შეუზღუდავი წმინდა აქტივები		250,841	117,716
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები		160,908	204,798
სულ წმინდა აქტივები		411,749	322,514
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		4,301,373	5,804,607

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 19 ივნისს:


ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი


დოდო გოჭაძე
ფინანსური მენეჯერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

შენიშვნა	შეზღუდვა წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	2019	2018
ცვლილებები წმინდა აქტივებში				
შემოსავლები				
ევროკავშირი (EU)	-	(1,365,814)	(1,365,814)	(1,357,656)
პური მსოფლიოსთვის (BFW)	-	(698,270)	(698,270)	(708,084)
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS - დაფინანსების წყარო BMZ)	-	(560,763)	(560,763)	(455,759)
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო (ASB - დაფინანსების წყარო ევროკავშირი)	-	(377,878)	(377,878)	(171,581)
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BPB)	-	(300,996)	(300,996)	(29,743)
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	-	(272,479)	(272,479)	(287,220)
ნიდერლანდების საელჩო	-	(166,541)	(166,541)	-
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - (CENN)	-	(84,714)	(84,714)	-
ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცენტრალური პროექტების მართვის სააგენტო (CPMA)	-	(55,439)	(55,439)	-
GEFF 2	-	(54,051)	(54,051)	-
NESSt EUROPE Nonprofit Ltd (Visegrad Fund)	-	(23,418)	(23,418)	-
კონსტანტა	-	(14,808)	(14,808)	(6,874)
ICCA	-	(5,000)	(5,000)	-
ფიფა ინ ნიდ (PIN-- დაფინანსების წყარო ევროკავშირი)	-	(26)	(26)	(9,710)
ფონდი სიცოცხლის ხე	-	-	-	(22,960)
ელკანა (დაფინანსების წყარო - მსოფლიო ბანკი)	-	-	-	(3,619)
შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან	(72,718)	-	(72,718)	(37,904)
საპროცენტო შემოსავლები	-	-	-	(7,531)
შემოსავლები შემოწირულობიდან	(60,407)	-	(60,407)	(1,865)
არასაოპერაციო შემოსავლები	-	(354,532)	(354,532)	(52,345)
			(312,701)	
სულ შემოსავალი	(133,125)	(4,334,729)	(4,467,854)	(3,465,552)
ხარჯები				
გაცემული გრანტები	10	-	826,201	630,933
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	3,254,644	2,543,181
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-	297,775	258,022
სულ ხარჯები	-	4,378,620	4,378,620	3,432,136
(ზრდა)/ შემცირება წმინდა აქტივებში	(133,125)	43,890	(89,235)	(33,416)
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში	(117,716)	(204,798)	(322,514)	(289,098)
წმინდა აქტივები წლის ბოლოს	(250,841)	(160,908)	(411,749)	(322,514)
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	-	(160,908)	(160,882)	(204,798)
შეზღუდვა წმინდა აქტივები	(250,841)	-	(250,841)	(117,716)
სულ წმინდა აქტივები	(250,841)	(160,908)	(411,749)	(322,514)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 19 ივნისს:

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი

დოდო გოჭაძე

ფინანსური მენეჯერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	სულ წმინდა აქტივები
2017 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	(442,974)	153,877	(289,097)
გრანტები და შემოწირულობები ხარჯების დაფინანსება	(61,741)	(3,403,811)	(3,465,552)
	-	3,432,135	3,432,135
2018 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	(504,715)	182,201	(322,514)
გრანტები და შემოწირულობები ხარჯების დაფინანსება	(133,125)	(4,334,730)	(4,467,855)
	-	4,378,620	4,378,620
2019 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	(637,840)	226,091	(411,749)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 19 ივნისს:

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი

დოდო გოჭაძე

ფინანსური მენეჯერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

Decription	ეროვნული რი (EU)	BFW	KAS (BMZ)	ASB/SE	BPB	UNDP	ნიდერლანდ ების საელჩო	ბულგარე თი	CPMA	GEFF 2	NESsT	პედ. კავშირი	OSGF 3e	კონსტანტა	ეკონომიკა რი საქმიანობა	საკუთარი	Total Expenses 2019	სულ ხარჯები 2018
გრანტები	330,555	120,075	-	208,467	-	162,104	-	-	-	-	-	-	-	5,000	-	-	826,201	630,933
შრომის ანაზღაურება	485,131	448,593	70,250	85,799	8,394	52,469	60,680	14,539	5,806	5,487	3,148	153	48	-	69	24,360	1,264,927	1,252,773
კონტრაქტით დაქირავებულზე გაღებული ჰონორარები	72,868	26,062	232,863	32,226	54,128	17,599	51	9,691	10,459	4,731	-	7,653	3,953	-	3,955	381	476,619	398,589
შეხვედრების და კომფერენციის ხარჯები	322,642	16,419	73,992	5,106	83,225	14,945	-	9,206	12,353	7,107	8,092	915	-	-	-	993	554,995	322,371
ლაბორატორიული მომსახურების და ექსპერტიზის ხარჯები	107	1,168	-	-	-	-	102,053	-	-	-	-	-	-	-	-	-	103,328	1,744
მგზავრობის ხარჯები	36,439	27,869	48,998	9,744	90,011	11,840	36	2,951	1,441	2,336	357	810	779	-	472	3,662	237,746	113,532
კომპიუტერის ხარჯები	3,738	1,772	-	-	-	2,333	-	-	517	-	-	-	-	-	-	-	8,360	3,146
ოფისის ხარჯები (კომუნიკაციის, კომუნალური)	16,053	2,178	122	862	-	2,798	119	-	1,025	-	-	-	-	-	-	79	23,236	23,472
ცვთა და ამორტიზაცია	21,328	-	-	17,117	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	11,527	49,972	47,141
დაზღვევის ხარჯები	2,040	5,123	-	298	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16,235	23,695	23,159
საიჯარო ქირა	25,105	8,475	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	33,580	46,495
საბანკო ხარჯი	1,072	1,275	2,153	299	182	156	518	-	161	13	11	2	6	-	40	-	5,886	3,812
საგადასაადო ხარჯი	-	7,860	818	-	24	-	-	-	4	-	-	-	-	-	-	-	8,705	-
სხვა ხარჯები	134,749	41,679	132,298	17,966	65,788	8,235	3,084	19,052	22,246	3,744	3,200	-	501	-	27	11,027	463,596	306,948
სულ ხარჯები	1,451,827	708,548	561,494	377,880	301,752	272,479	166,541	55,439	54,012	23,418	14,808	9,533	5,287	5,000	4,563	68,264	4,080,846	3,174,113

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 19 ივნისს:

Handwritten signature

ვა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

Handwritten signature

დოდო გოქაძე

ფინანსური მენეჯერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	Year 2019	Year 2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგრანტო დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები	4,579,618	2,638,392
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	85,646	8,685
მიღებული შემოწირულობა	60,407	52,345
დაქირავებულებზე გაცემული ჰონორარები	(1,175,638)	(1,030,868)
ქვეგრანტორებზე გაცემული გრანტები	(773,567)	(717,089)
გაწეული მომსახურებისთვის და შეძენილი საქონლისთვის გაცემული ფულადი სახსრები	(764,171)	(144,185)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(301,285)	(307,299)
გადახდილი გადასახადები	(299,521)	(361,645)
სამსახურეობრივი მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(59,755)	(303,258)
დაზღვევისთვის გადახდილი თანხები	(41,311)	(35,395)
შეხვედრებისა და კონფერენციის ხარჯები	(5,817)	(54,999)
იჯარის ხარჯი	(48,597)	(36,613)
საკონსულტაციო მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(13,483)	(34,551)
კომუნიკაციის ხარჯები	(9,203)	(9,270)
ოფისის ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(7,157)	(18,041)
საბანკო ხარჯი	(5,879)	(3,808)
სხვა ხარჯები	(355,032)	(205,836)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	865,255	(563,435)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(134,489)	(109,385)
მიღებული საპროცენტო შემოსავლები	-	1,865
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(134,488)	(107,520)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	195,881	321,960
დაფარული სესხი	(307,167)	(213,598)
გადახდილი პროცენტი	(1,381)	(2,858)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(112,667)	105,504
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	618,100	(565,451)
კონვერტაციით მიღებული საკურსო მოგება/ზარალი	(58,556)	(37,912)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	38,837	25,584
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	316,751	894,531
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის	915,131	316,751

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 19 ივნისს:

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

დოდო გოჭაძე

ფინანსური მენეჯერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი(CSRDG) არის არაპოლიტიკური, არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1995 წლის ივლისში. ადამიანებს, რომელთაც დააფუძნეს ეს ორგანიზაცია, სურვილი ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს განვითარების პროცესებში. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური ჩართულობით, მათი ინტერესების დაცვის და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის გზით, ორგანიზაცია ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს მხარი დაუჭიროს საზოგადოების ისეთ ჯგუფებს და ადამიანებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეფექტური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განვითარებას და ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების მდგრადი ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიდგომა დაფუძნებულია გამჭვირვალობის, სამართლიანობის და შემოქმედებით პრინციპებზე. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- სამოქალაქო გაძლიერება;
- გარემოს დაცვა;
- დეცენტრალიზაცია;
- მომხმარებლის უფლებების დაცვა;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;
- სოციალური მეწარმეობა.

CSRDG-ის მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. ორგანიზაცია სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით მუშაობს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას. თითოეული მიმართულების ქვეშ კი ერთიანდება შემდეგი პროგრამები:

1. სამოქალაქო სექტორის განვითარება;
2. ღია მმართველობის ხელშეწყობა;
3. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა.

1. სამოქალაქო სექტორის განვითარება ორგანიზაციაში მიმდინარე ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ამოცანასაც ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკუთარი მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის განვითარების ქვეშ თემის განვითარებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამები ერთიანდებიან.

- თემის განვითარება(სოფლის და თემის დონეზე) - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება, რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შესთავაზონ უკეთესი სერვისი მიზნობრივ ჯგუფებს.

2. ღია მმართველობის ხელშეწყობის მიმართულების ამოცანაა ღია და საჭიროებებზე დაფუძნებული მმართველობის დასამყარებლად მთავრობასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. არსებული ამოცანების სრულყოფისათვის ორგანიზაცია ორი პროგრამის ფარგლებში მუშაობს - კარგი მმართველობა და ევროინტეგრაციის ხელშეწყობა.

- კარგი მმართველობა - ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება მართვის პროცესში.
- ევროინტეგრაციის ხელშეწყობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების უკეთ იდენტიფიცირების, მონიტორინგის და ადვოკატირების კუთხით.

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

3. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის მიმართულების სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში სამი პროგრამა ერთიანდება.

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - CSR კონცეფციის განვითარება ხელს უწყობს ყველა სექტორში არსებულ სოციალურ და გარემოს კეთილდღეობას. ბიზნეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია გააცნობიერონ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა და აქტიური როლი შეასრულონ ქვეყნის მდგრად განვითარებაში.
- სოციალური მეწარმეობა (SE) - არის ეფექტური გზა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური ჩართულობისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების გადაჭრის პროცესებში. SE-ს დახმარებით შესაძლებელია აღმოფხვრას ის სოციალური პრობლემები, რომლებიც არ არის ბიზნეს კომპანიების ინტერესის ფოკუსში და რომელთა მოგვარებისთვის მთავრობაში არ არსებობს საკმარისი რესურსი.
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა - ეფექტურად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმები. ბიზნესი უფრო მეტად პასუხისმგებელია მომხმარებლების მიმართ, ხოლო მოქალაქეები, როგორც მომხმარებლები, უფრო აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებებს.

2016 წლის 01 თებერვალს ევროკომისიამ CSRDG-ს გადასცა გრანტი 600,000 ევროს ოდენობით პროექტის „სოციალური მეწარმეობა-ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“ განსახორციელებლად. მთლიანი გრანტის ბიუჯეტი შეადგენდა 697,201 ევროს, ხოლო გრანტის ხანგრძლივობაა 36 თვე 2016 წლის 01 თებერვლიდან 2019 წლის 31 იანვრამდე. (EU)

2017 წლის 03 ივლისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და CENN-ს შორის, პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ განსახორციელებლად. გრანტის განხორციელების პერიოდია 2017 წლის 03 ივლისიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 112,600 ევროს. (დაფ. წყარო ევროკავშირი (CENN-EU))

2017 წლის 31 იანვარს CSRDG-მ და KAS (EU)-მ გააფორმეს საგრანტო ხელშეკრულება პროექტზე "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" განსახორციელებლად 1,087,393 ევროს საგრანტო თანხის ოდენობით. გრანტის ხანგრძლივობაა 2017 წლის 16 იანვრიდან 2020 წლის 01 ოქტომბრამდე. (დაფ. წყარო ევროკავშირი (KAS EU))

2017 წლის 28 თებერვალს CSRDG-სა და BFW-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თანამშრომლობის განსაზღვრა და პოლიტიკური გავლენა, გაგრძელება. ძირითადი პროგრამა 2017-2020" განსახორციელებლად. სრული საგრანტო თანხა შეადგენს 1,232,400 ევროს, ხოლო გრანტის ხანგრძლივობაა 2017 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 30 ივნისამდე. (BFW 2017)

2017 წლის 13 იანვარს CSRDG-მ გააფორმა საგრანტო ხელშეკრულება KAS(BMZ)-თან პროექტის "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" განსახორციელებლად. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 473,549 ევროს (დაფ. წყარო (KAS-BMZ)).

2017 წლის 01 ოქტომბერს CSRDG-სა და UN-GEF-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის "ორგანული ნარჩენის წვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენის ხელმეორედ გამოყენების და გადამუშავების გზით" განსახორციელებლად. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 30,000 აშშ დოლარს. პროექტის ხანგრძლივობაა 2017 წლის 01 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე. (UN-GEF)

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

- 2018 წლის 10 დეკემბერს UNDP-სა და CSRDG-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება 87,000 აშშ დოლარის ოდენობით პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2018 წლის 01 დეკემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრამდე. (UNDP)
- 2017 წლის 31 იანვარს საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა CSRDG-სა და ASB/SE-ს შორის პროექტის „გზა საზოგადოებისკენ დასაბრუნებლად“ განსახორციელებლად. პროექტის განხორციელების პერიოდია 2017 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 01 თებერვლამდე. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 245, 530 ევროს. (დაფ. წყარო ევროკავშირი (ASB-EU))
- 2015 წლის 01 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და ASB-ს შორის პროექტის „საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური სერვისების პოლიტიკის დიალოგში წვლილის შეტანისთვის საქართველოსა და უკრაინაში“ განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2015 წლის 01 მარტიდან 2018 წლის 01 მარტამდე. მთლიანმა საგრანტო თანხამ შეადგინა 133,985 ევრო (დაფ. წყარო ევროკავშირი (ASB-EU))
- 2017 წლის 12 ივნისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და ელკანას შორის პროექტი "საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემების და მიკრომწარმოებების გაძლიერება"-ის განსახორციელებლად. საგრანტო თანხა შეადგენს 95,875 ლარს. (ელკანა - დაფ. წყარო მსოფლიო ბანკი)
- 2018 წლის 01 ოქტომბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და BPB-ს შორის პროექტის "History of Hence Video Materials" განსახორციელებლად. საგრანტო თანხამ შეადგინა 4,966 ევრო, ხოლო საგრანტო პერიოდია 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 ნოემბრამდე. (BPB)
- 2018 წლის 01 ოქტომბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება CSRDG-სა და BPB-ს შორის პროექტის "Organizational Development of Civic Education Organizations" განსახორციელებლად. საგრანტო თანხამ შეადგინა 5,000 ევრო, ხოლო საგრანტო პერიოდია 2018 წლის 27 ოქტომბრიდან 2018 წლის 03 დეკემბრამდე. (BPB)
- 2016 წლის 9 მარტს People In Need (PIN)-სა და CSRDG-ს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2016 წლის 01 მარტიდან 2018 წლის 14 მაისამდე, ხოლო მთლიანი გრანტის ოდენობაა 75,625 ევრო. (PIN)
- 2017 წლის 06 ივნისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და UNOP-ს შორის პროექტის „ადგილობრივი თემების მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაზრდა ტერიტორიების კონსერვაციის საქმეში“ განსახორციელებლად. საგრანტო თანხამ შეადგინა 50000 ევრო, ხოლო საგრანტო პერიოდია 2017 წლის 13 ნოემბრიდან 2019 წლის 12 ნოემბრამდე. (UNOP)
- 2018 წლის 24 სექტემბერს NESsT-მა CSRDG-ს გადასცა 9,450 ევროს ოდენობის გრანტი "სოციალური მეწარმეობის აკადემია". საგრანტო პერიოდია 2018 წლის 24 სექტემბრიდან 2019 წლის 12 ივლისამდე. (NESsT Visegrad Fund).
- 2018 წლის 05 ნოემბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას N FG_074 ფონდ სივოცხლის ხესა (TL) და CSRDG-ს შორის. გრანტის მიზანს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერი აქტივობების განხორციელება, სოციალური საწარმოების B2B გამოფენის მოწყობა. მთლიანი საგრანტო თანხა შეადგენს 4,000 ლარს. (ფონდი სივოცხლის ხე)
- 2019 წლის 15 აპრილს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და BPB-ს შორის პროექტის "EENCE სამიტი. სამოქალაქო განათლება აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 17 აპრილიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 99,9947.88 ევროს. (BPB).
- 2019 წლის 22 აპრილს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის პროექტის "სამოქალაქო განათლება სურსათის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დასაცავად" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 22 აპრილიდან 2019 წლის 22 ნოემბრამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 48,896 ბულგარულ ლევს (BGN). (Bulgaria).
- 2019 წლის 4 მარტს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და UNOPS-ს შორის პროექტის "სურსათის უვნებლობის რეფორმებისთვის საქართველოში" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 01 მარტიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 20,502 ევროს. ("CPMA").

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

2019 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და UNOP-ს შორის პროექტის "გლობალური დათბობის კამპანია - მომავლის შეცვლის შანსი" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 15 მაისიდან 2020 წლის 31 მაისამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 20,000 აშშ დოლარს. ("UN-GEF 2").

2019 წლის 4 მარტს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და ნიდერლანდების საელჩოს შორის პროექტის "უსაფრთხო პროდუქტები ქართველი მომხმარებლებისთვის" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 506,433.38 ლარს. (NL)

2019 წლის 9 დეკემბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და UNDP-ს შორის პროექტის "გეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 2 დეკემბრიდან 2020 წლის 30 ოქტომბრამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 87,000 აშშ დოლარს. (UNDP IX)

2019 წლის 12 დეკემბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას CSRDG-სა და "უფლებების დაცვაზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთათვის" განსახორციელებლად. საგრანტო პერიოდია 2019 წლის 13 დეკემბრიდან 2022 წლის 12 დეკემბრამდე, ხოლო საგრანტო თანხა შეადგენს 399,000 ევროს. (ZEU)

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №9 (26 ივნისი, 2018)) მიხედვით.

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის პრინციპის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღრიცხვას იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები (გაგრძელება)

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

(ბ) შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ყურდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. თუმცა, ზოგიერთი გრანტი დონორისგან მიღებულია ევროში ან დოლარში და ზოგიერთი ფინანსური რეპორტი დონორთან წარდგენილია ევროში და დოლარში, თუმცა ანგარიშგება მზადდება ლარებში. ძირითადი ოპერაციები სრულდება ქართულ ლარებში.

(დ) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2019	დეკემბერი 31, 2018
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი / 1 ევრო	3.2095	3.0701
ლარი / 1 ფუნტი	3.7593	3.3955

(ე) საგრანტო შემოსავალი და გადავადებული გრანტი

ორგანიზაცია დონორისგან მისაღებ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხებს აღრიცხავს როგორც გადავადებულ გრანტს. ხოლო პროგრამის შესაბამისი დანახარჯების გაწევის და მათი აღიარების შემდეგ, შესაბამისი თანხით მცირდება გადავადებული გრანტის ოდენობა და ხდება ამ თანხის შემოსავლად აღიარება.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისაგან და ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

(ზ) გადასახადები

სსკგც, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, იხდის შემდეგ გადასახადებს:

საშემოსავლო გადასახადი (20%). აღნიშნული გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) (2005 წლის 30 ივნისიდან 18%). ორგანიზაცია რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში როგორც დღგ-ს გადამხდელი.

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6%-იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2%-ს თავის მხრივ და ეს გადასახადები არ არის მოცემული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	30 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწრასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია

წმინდა აქტივები შედგება შეუზღუდავი, დროებით შეზღუდული და მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივებისაგან:

შეუზღუდავი წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ შემოსავლებს და დონორისგან მიღებულ იმ შენატანებს, რომლებზეც არ ვრცელდება დონორის შეზღუდვები. ეს წმინდა აქტივები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო მიზნებისათვის.

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციის განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციის განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს.

(კ) შემოსავალი

შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული ფონდები აღიარდება როგორც შემოსავალი, როდესაც მოხდება დონორთან ხელშეკრულების გაფორმება. შეზღუდული ფონდები აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი იმდენად, რამდენადაც მოხდება ფაქტური დანახარჯების გაწევა და დონორის მიერ დაწესებული დროითი ლიმიტების გათვალისწინება. სხვაობა შეზღუდულ მიღებულ ფონდებსა და გაწეულ დანახარჯებს შორის აღიარდება, როგორც შეზღუდული წმინდა აქტივი თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ლ) გაცემული ქვეგრანტები

გაცემული ქვეგრანტები გაცემისთანავე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც ორგანიზაციის მიერ ქვეგრანტორებზე გაცემული ავანსი.

ქვეგრანტორების მიერ გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების ორგანიზაციისადმი წარდგენისას გაცემული ქვეგრანტები გადაიხურება შესრულებული სამუშაოების და მიღებული დოკუმენტაციის პროპორციული თანხებით საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

(მ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებული სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომპანიას აქვს უპირობო უფლება, რომ გადაავადოს ვალდებულების დაფარვის ვადა 12 თვეზე მეტი ვადით საანგარიშგებო თარიღიდან. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

შენიშვნა 3: ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	42	120
ფული ბანკში (ლარი)	330,211	94,328
ფული ბანკში (სხვა ვალუტა)	584,878	222,303
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	915,131	316,751

შენიშვნა 4: მისაღები გრანტები

	31-Dec-2019	31-Dec-2018
ევროკავშირი (EU)	1,779,628	2,502,619
პური მსოფლიოსათვის (BFW)	309,396	853,746
ნიდერლანდების საელჩო	253,533	-
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	241,520	228,001
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS - დაფინანსების წყარო BMZ)	213,820	779,256
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო (ASB -წყარო ევროკავშირი)	3,113	363,784
ადამიანი გაჭირვებაში (წყარო ევროკავშირი)	-	24,352
ICCA	-	66,914
სულ მისაღები გრანტები	2,801,010	4,818,672

შენიშვნა 5: საგადასახადო აქტივები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
საშემოსავლო გადასახადი	(192)	-
ქონების გადასახადი	(176)	-
მოგების გადასახადი	13,315	13,009
დღგ	44,228	66,250
სულ საგადასახადო აქტივები	57,174	79,258

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

შენიშვნა 6: ქვეგრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები

	31-Dec-19	31-Dec-18
ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის	28,198	-
კავშირი საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო	28,000	14,980
საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	23,921	8,798
ააიპ განათლებისა და განვითარების ცენტრი თოლისკური	21,691	1,335
ლალი გამოსონია	18,189	19,664
ააიპ ქველი საქმე	12,300	-
ააიპ ნაბიჯი ხარაგაული	10,303	-
ააიპ ჯგუფი სოციალური ცვლილებებისთვის	10,159	-
ააიპ ქვემო ქართლის მედია	8,682	8,597
ასოციაცია ქალები რეგიონის განვითარებისთვის	8,655	-
თუშური ბრენდი	8,064	-
ააიპ სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი	7,820	-
ააიპ საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი	7,540	-
დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი	7,050	-
ააიპ მეგობრობის ხიდი ქართლოსი	6,846	-
გურიის მედიატორთა ასოციაცია	6,804	3,999
ააიპ სტეფანწმინდა	6,758	-
ა(ა)იპ "ასოციაცია ჭიათურელთა კავშირი"	6,724	15,050
ა(ა)იპ "თემთა სოციალური-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია იმერეთი"	4,897	-
სათემო განვითარების ცენტრი "აისი"	4,750	-
ა(ა)იპ "სათემო ფონდი კოდორი 2013"	4,513	2,215
ა(ა)იპ "ქალები ქვეყნის მომავლისათვის"	4,217	14,037
ბავრა ჯგუფი	4,003	-
სკრის ასოციაცია " ბეთლემი"	4,000	3,500
არაფორმალური განათლებისა და სამოქალაქო აქტივობის ახალგაზრდული ცენტრი	3,970	-
ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის	3,964	-
ააიპ ცოდნის და გამოცდილების ტრანსფერი	3,740	-
ააიპ სათემო ცენტრი შრომა "ანიზანი"	3,470	-
ააიპ რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმართვადობის რესურს ცენტრი	3,170	-
ააიპ მწვანე კავკასია	2,934	-
სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია "ტოლერანტი"	2,141	-
რეგ. ინიციატივების ცენტრი ნათელი მომავალი	1,400	-
ძალადობისგან დაცვის ერ.ქსელის მცხეთა-თიანეთის კომიტეტი	1,322	-
იმერეთის რეგ. ის ახალგაზრდული სამეცნიერო საინფორმაციო ასოციაცია ასა	1,296	-
ააიპ ევროპა ჩვენი სახლია	536	-
ააიპ ქართული მედია ჯგუფი	407	-
განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC)	-	22,430
ა(ა)იპ კასპის შშმ პირთა კავშირი - წწული	-	16,904
საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი	-	11,830
ააიპ პოტერია	-	6,300
ააიპ ირის ჯგუფი- მრავალფეროვნების მართვა	-	3,925
ააიპ ახალგაზრდული ორგ.ხულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირი	-	3,615
ააიპ აი კუბ	-	3,600
ააიპ თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი	-	3,573
ააიპ ჯოყოლო XXI	-	3,000
ფართოპროფილიანი სასწ. ცენტრი გუმბათი	-	2,708
ფერმერ ქალთა ასოციაცია	-	2,405
ააიპ უსინათლოთა ხმა	-	1,835
ააიპ დემოკრატიული გაძლიერების ცენტრი	-	1,257
კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი	-	351
სათემო "ვარდისუბანი"	-	180
ააიპ ბოლნისის ენის სახლი	-	24
ააიპ ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა	-	15
იმედი დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდოვნისათვის	-	41
სულ ქვეგრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები	282,434	176,126

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2018	119,350	110,729	98,663	328,742
შემენები	-	154,609	-	154,609
გასვლები	-	(29,984)	(11,316)	(41,300)
პერიოდის ცვთა	(3,978)	(25,787)	(17,375)	(47,140)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	115,372	209,566	69,971	394,911
შემენები	-	70,169	-	70,169
გასვლები	-	(172,636)	-	(172,636)
პერიოდის ცვთა	(3,846)	(34,908)	(11,218)	(49,972)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	111,526	72,191	58,753	242,472

შენიშვნა 8: მოკლევადიანი სესხები

ორგანიზაციის საკრედიტო ხაზი წარმოდგენილი იყო ევროში და საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 5.8%-ს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციამ სრულად დაფარა სესხის ძირი თანხა და დახურა საკრედიტო ხაზი. (31 დეკემბერი, 2018: 108,950 GEL). ორგანიზაციას არ აქვს გადასახდელი პროცენტი.

შენიშვნა 9: გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი	31-Dec-19	31-Dec-18
ევროკავშირი (EU)	2,539,321	2,735,883
ნიდერლანდების საელჩო (NL)	339,892	-
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS - წყარო BMZ)	324,356	829,083
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	270,789	257,747
პური მსოფლიოსათვის (BFW)	258,142	896,064
არბაითერ - სამართერ - ბუნდი საქართველო (ASB - წყარო ევროკავშირი)	130,612	505,105
ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო (Bulgaria)	22,087	-
ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში (FES-Georgia)	263	262
გაერო (UNOP)	-	123,365
NESsT EUROPE Nonprofit Ltd (Visegrad Fund)	-	21,599
სულ გადავადებული შემოსავალი	3,885,462	5,369,109

შენიშვნა 10: გაცემული გრანტები

2019 წელს სსკგ-მ გასცა გრანტი სხვადასხვა ორგანიზაციებზე პროექტის „სოციალური მეწარმეობა-ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის (EU) მიერ. საგრანტო ხელშეკრულება სსკგ-სა და ევროკავშირის (SE/EU) შორის გაფორმდა 2016 წლის 01 თებერვალს.

2019 წელს სსკგ-მა გასცა გრანტი სხვადასხვა ორგანიზაციებზე პროექტის „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ზეგავლენა ქართველ მომხმარებლებზე და მათი ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის (EU) მიერ. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა 2014 წლის 21 ოქტომბერს.

2019 წელს სსკგ-მა მისცა გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას პროექტის - „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა UNDP-ის მიერ (UNDP). საგრანტო ხელშეკრულება UNDP-სა და სსკგ-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 10 დეკემბერს.

შენიშვნა 10: გაცემული გრანტები (გაგრძელება)

2019 წელს სსკგც-მა მისცა გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თანამშრომლობის განსაზღვრა და პოლიტიკური გავლენა, გაგრძელება. ძირითადი პროგრამა 2017-2020“, რომელიც დაფინანსდა BFW-ს მიერ. საგრანტო ხელშეკრულება სსკგც-სა და BFW-ს შორის გაფორმდა 2017 წლის 28 თებერვალს.

2019 წელს სსკგც-მა გასცა გრანტი „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“-ზე. პროექტი დაფინანსებული იყო სსკგც-ის საკუთარი ფონდებით.

2019 წელს სსკგც-მა გასცა მცირე გრანტები სხვადასხვა ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებზე პროექტი „გზა საზოგადოებისკენ დასაბრუნებლად“ ის ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა „არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი“-ს (ASB SE) მიერ. ხელშეკრულება „არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი“-სა და სსკგც შორის გაფორმდა 2017 წლის 31 იანვარს.

გაცემული გრანტები დონორის დაფინანსების წყაროს მითითებით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

დონორის დაფინანსების წყაროდან გაცემული გრანტები:

	2019	2018
ევროკავშირი	330,555	403,803
არბაითერ - სამარიტერ - ბუნდი საქართველო	208,467	16,141
გაეროს განვითარების პროგრამა	162,104	135,243
პური მსოფლიოსათვის	120,075	70,906
კონსტანტა	5,000	-
საკუთარი ფონდები	-	4,840
სულ გაცემული გრანტები	826,201	630,933

შენიშვნა 11: გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

	2019	2018
გადავადებული გრანტი საწყისი	5,369,109	8,213,515
პლიუს: პერიოდის განმავლობაში გაფორმებული საგრანტო კონტრაქტები	2,443,755	246,704
მინუს: პერიოდის შემოსავლებში გადატანილი გადავადებული გრანტი	(3,980,198)	(3,091,110)
გადავადებული გრანტი საბოლოო	3,832,666	5,369,109

შენიშვნა 12: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეების წარმოება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაცია არ იყო ჩართული სამართალწარმოებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

შენიშვნა 12: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

შენიშვნა 13: საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. ორგანიზაციის მენეჯმენტმა მალევე შეაფასა მიმდინარე ვითარება და დაგეგმა ყველა ის აუცილებელი ნაბიჯი COVID 19-ით გამოწვეულ ამჟამინდელ სიტუაციასთან ადაპტაციისთვის და შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის, რაც მიმდინარე და დაგეგმილი საპროექტო საქმიანობის განხორციელებისთვის იყო საჭირო.

- დოკუმენტის დასასრული -